ააიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი

ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტისათვის
MP3 პლეერები/საკრავების შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ.გორი

2012

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის---------- 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია---------- 7

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი---------- 10

4. დამატებითი ინფორმაცია---------- 15

5. დანართი 1 აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა---------- 16

6. დანართი 2 რეკვიზიტები ---------- 18

7. დანართი 3 საბანკო გარანტიის ფორმა---------- 19

8. დანართი 4 მომსახურების ფასების ცხრილი---------- 20

9. დანართი საოფისე მოწყობილობებისა და მარაგის ტექნიკური პარამეტრები--21

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის:

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ," „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ წესის" შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი #1

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობისა საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.4.1 ელექტრონული გარანტიის ვადა უნდა იყოს არანაკლებ 30 კალენდარული დღე, წინადადების მიღების დაწყებიდან.

1.4.2. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.4.3 ამ ინსტრუქციის 1.4.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე. ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. არნიშნული ქმედების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობისა შესაძლებლობა.

1.5 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.6 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.7 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი სატენდერო განცხადებითა და სატენდერო

დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.8 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.9 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.10 ძირითად დროში უფლება გაქვთ განახორციელოთ ფასის ცვლილება, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.11 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.12 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ხუთი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.13 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.14. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.15 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.16 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია

თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრედენდენტს , რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.
1.17თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს ვადას არაუმატეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის . დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.
1.18 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.
1.19 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოტ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრედენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.
1.20 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევაში: ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას. ბ)თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე; გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს: დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში; ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებას.
1.21 ამ ინსტრუქციის 1.20 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.
1.22 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექრონული ტენდერის ჩატარებისას, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ წესის '' მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ ''„რ'' და „ტ'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:
ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
ბ) პრედენდენტი შეყვანილია შავ სიაში. შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმომადგენლობის ან/და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.
1.23 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა: ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი

გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას. ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე; გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკურენტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორაგანიზაცია ვალდებული არ არის აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.24 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან ელქეტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმ,ოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.25 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტი მიენიჭება ქართულ ვერსიას.

1.26 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში _ სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ .

1.27 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.28 პრეტენდენს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2 ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურიდან;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მსურველი მონაწილე პირის რეგისტრაციის შესახებ.

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

2.1.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) რეკვიზიტები დანართი №2 მიხედვით
ბ) ფასების ცხრილი №3 დანართის მიხედვით
გ) ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა დანართი №4-ის მიხედვით (გარანტია პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამტკიცებისა და მისი ,,გამარჯვებულად'' ცნობის თაობაზე ველში წერილის ატვირთვის შემდგომ).
დ) საქონლის ტექნიკური პარამეტრები დანართი №5 მიხედვით.

2.1.4 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსების თარიღს.

2.2 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.3 ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, ეროვნულ ვალუტაში.

2.3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.3.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.(მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად).

2.3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
2.4 . ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:
2.4.1 ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2% ოდენობით,დანართი №3-ის მიხედვით.
2.4.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

2.5 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.5.1 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტისათვის MP3 პლეერები/საკრავების მოწოდება №5 დანართის მიხედვით.
2.5.2 ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტისათვის MP3 პლეერები/საკრავების შესყიდვის გამარტივებული ტენდერის, სატენდერო ღირებულება შეადგენს **2500 (ორიათას ხუთასი) ლარს.**
2.5.3 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს MP3 პლეერები/საკრავების ფასების ცხრილი დანართი №4-ის მიხედვით.
2.5.4 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში, ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვების ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
2.5.5. ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტისათვის MP3 პლეერები/საკრავები უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
2.5.6. შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი პირი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ხარისხის ინსპექტირება.
2.5.7. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობა წერილობით.
2.5.8. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

2.6 საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი:

2.6.1. ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტისათვის MP3 პლეერები/საკრავების მოწოდება უნდა განხორციელდეს **2012 წლის 25 ივნისამდე**, გორის სასწავლო უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსში.

2.6.2. საქონლის შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

2.7 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტების დანართი N2 მიხედვით

ბ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა დანართი N3 მიხედვით. საბანკო გარანტია პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამტკიცებისა და მისი ,,გამარჯვებულად'' ცნობის თაობაზე ველში წერილის ატვირთვის შემდგომ.

გ) ფასების ცხრილი დანართი N4 მიხედვით

დ) ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტისათვის MP3 პლეერები/საკრავების ტექნიკური პარამეტრები დანართი N5 მიხედვით

4.ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი __ _____ 2012წ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტორნული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულება პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართულ ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ააიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ხორბალაძის სახით (შემდგომში ,, შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. გორი ჭავჭავაძის ქ. #53

_____

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____მისი _____სახით, იურიდიული მისამართი_____(შემდგომში მიმწოდებელი)

_____

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი კოდით 323 (ტენდერი №SPA ----------,) MP3 პლეერები/საკრავების შესყიდვაზე.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - ,, ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ,, ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი” - პირი,რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

1.7. ,,ტექნიკური დავალება” - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება,რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ააიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტისათვის MP3 პლეერები/საკრავების შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2012 წლის 25 ივნისამდე.**

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ---------- ლარს.
4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. გორი, ჭავჭავაძის . №53.

5.2. საქონლის მოწოდება ხდება ერთიანად ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით.

6. მხარეთა ვალდებულებები.

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული და ტექნიკურ დავალებაში მითითებული უნაკლო საქონელი.
6.2. თუ კი ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდებული საქონელი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
6.3. მიმწოდებელი უფლება მოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის

ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. შემსყიდველი ვალდებულია საქონლის მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი.

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში შესყიდვის ობიექტის მიღების თაობაზე მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედვალობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
8. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირები შემსყიდველის მიერ განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.
8.3. საქონლის ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი.

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად ავტომატურად, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი მიწოდებულ საქონელში.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1. შემსყიდველი უფლება მოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოწოდებული საქონლის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.მხარეთა პასუხისმგებლობა.

11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკის-რება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
11.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12. ფორს- მაჟორი.

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებისგამოყენებას:
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებლ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების ფასების გადასინჯვა.

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა. წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლებელია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია.

13.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი ,, მიმწოდებლის” მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შეუსრულებლებლობის გამო. ,, მიმწოდებლის” მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2 % ( ) ლარის ოდენობით. რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
13.2 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია მიმწოდებელს უკან არ უბრუნდება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

13.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, ,, შემსყიდველი" დაუბრუნებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.
13.4 ,,მიმწოდებლისგან" დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" ,,მიმწოდებელის" მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2012 წლის 25 ივნისამდე.**

17. რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი" **,,მიმწოდებელი"**

4.დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ.გორი ჭავჭავაძის ქ.№53 საკონტაქტო პირი: გივი გაგნიძე. ტელ: 599 505770 ; 577 151213

დანართი #1

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით.ვადასტურებ,რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად ასევე ვადასტურებ,რომ:
ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება,თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ:
უფლება მოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება:
ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ:
ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი ,,კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში:
მატერიალური გამორჩენის ან უპირატერსობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია,კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი:
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი და ფორმულა:
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება:
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა,რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცემული ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები,რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება:
- სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი გაზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლის შესაბამისად.

დანართი #2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფირმა და დასახელება:

ხელმძღვანელის გვარი, სახელი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის საკომუნიკაციო საშუალებები: ტელეფონი. ფაქსი, მობილური, ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადებების ფასი:
3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად:
4. სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადა:

(სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში წინადადების მიღების დაწყებიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღე).

დანართი #3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის:

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში ,,მიმწოდებელმა" _____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით,ვადასტურებთ,რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად,სიტყვიერად,ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტიების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____(თარიღი)

_____(მისამართი)

დანართი # 4

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი

დანართი #5

პრეტენდენტის დასახელება _____

შტრიხკოდების წამკითხველი სკანერების ტექნიკური პარამეტრები

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	პარამეტრები
1	MP3 პლეერები/საკრავები	ცალი	20	MP3/VCD RADIO CASSETE RECORDER CD PLAIER